ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

1–2405

ბრძანება №_____

30 ოქტომბერი

"____"_____2017 წ.

ქ. თბილისში, გლდანის რაიონი, მეტრო-სადგურ „ახმეტელის თეატრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთისთვის (საკადასტრო კოდი: №01.11.12.016.024), ინდივიდუალური ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრების მინიჭებისა და სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების 22-ე მუხლის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2017 წლის 5 ოქტომბრის №40 და 2017 წლის 19 ოქტომბრის №42 სხდომის ოქმების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. ქ. თბილისში, გლდანის რაიონი, მეტრო-სადგურ „ახმეტელის თეატრის“ მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთს (საკადასტრო კოდი: №01.11.12.016.024), დროებითი პავილიონის განსათავსებლად საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის (სსზ-2) არეალში, მიენიჭოს ინდივიდუალური ქალაქთმმშენებლობითი პარამეტრები და გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს საბჭოს რეკომენდაციები.


3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსს.

4. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

დავით ნარმანია

საქმის წარმოების განყოფილება №3

ქ. თბილისი 0160. ჟ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200


7.2
7
113
1.6
1.5
0.2
261
ფუნქციურ ზონებს შორის საზღვარი
სატრანსპორტო
ზონა 1
(ტზ-1)
საწარმოებლო
ზონა 1
(სზ-1)
საზოგადოებრივ-საქმიანი
ზონა 2
(სსზ-2)
N
W
E
S
1:180